საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №22

ქ. ბათუმი 05 აპრილი, 2017 წ.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 02 მარტის №13 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის'', აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №84 დადგენილებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა ქორიძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 7 17 00306498, 30.03.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბსუ-ში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად **2017 წლის 02 მარტის №13 დადგენილებით** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **სოფიო ბერიძე** - ბსუ-ს პროფესორი;

ბ) **კახაბერ ქაშიბაძე** - ბსუ-ს პროფესორი;

გ) **სალომე ღლონტი** - ბსუ-ს პროფესორი;

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2017 წლის 11 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით**.

3. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბრის №3 გადაწყვეტილებითა, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და საპროცედურო კომისიის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 02 მარტის №13 დადგენილებითა და წინამდებარე დადგენილებით.

4. დადგენილება დაეგზავნოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**